

ნამახვანის ჰესების კასკადის პროექტი
ანგარიში № 3

ავტორები: დ. ზაქარაია

ი. შველიძე

ვ. აღანია

ო. ენუქიძე

სსიპ ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი

თბილისი

2008 წ.

1. მდ. რიონზე ნამახვანის ჰესების რაიონის ბუნებრივი პირობები
 - 1.1. ოროჰიდროგრაფია და კლიმატური თავისებურებები
 - 1.2. გეოლოგიური აგებულება
 - 1.2.1. ქანების სტრატეგრაფია და ლითოლოგია
 - 1.2.2. ტექტონიკა
 - 1.3. ჰიდროგეოლოგიური პირობები
 - 1.4. თანამედროვე ფიზიკურ - გეოლოგიური პროცესები და სეისმურობა
2. ნაგებობათა საინჟინრო - გეოლოგიური პირობები
 - 2.1. ნამახვანის ჰესის ნაგებობათა საინჟინრო - გეოლოგიური პირობები
 - 2.1.1 ნაგებობათა შედგენილობა და მათი განლაგების მორფოლოგიური პირობები
 - 2.1.2. გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები
 - 2.1.3 ქანების ნაპრალოვნება
 - 2.1.4 ქანების ფიზიკურ - მექანიკური თვისებები
 - 2.1.5. ქანების წყალგამტარობა
 - 2.1.6. კაშხალის აგების საინჟინრო - გეოლოგიური პირობების შეფასება
 - 2.1.7. კაშხალისპირა ჰესის საინჟინრო - გეოლოგიური პირობების შეფასება
 - 2.1.8. სანშენებლო გვირაბისა და საექსპლუატაციო წყალსაგდების საინჟინრო - გეოლოგიური პირობების შეფასება
 - 2.2 უონეთის ჰესის ნაგებობათა საინჟინრო - გეოლოგიური პირობები
 - 2.2.1. ნაგებობათა შედგენილობა და განლაგების მორფოლოგიური პირობები
 - 2.2.2 გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები
 - 2.2.3. ქანების ფიზიკურ - მექანიკური თვისებები და წყალგამტარობა
 - 2.2.4. ნაგებობების მშენებლობის საინჟინრო - გეოლოგიური პირობების შეფასება
 - 2.3. ტვიშის ჰესის ნაგებობების საინჟინრო - გეოლოგიური პირობები
 - 2.3.1. ნაგებობათა შედგენილობა და მათი განლაგების მორფოლოგიური პირობები
 - 2.3.2. გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები
 - 2.3.3. ქანების ფიზიკურ - მექანიკური თვისებები და წყალგამტარობა

- 2.3.4. კაშხალის მშენებლობის საინჟინრო - გეოლოგიური პირობების შეფასება
- 2.3.5. ჰესის შენობის და დერივაციული გვირაბის მშენებლობის საინჟინრო - გეოლოგიური პირობების შეფასება
- 2.3.6. საექსპლუატაციო წყალსაგდების და სამშენებლო გვირაბის გაყვანის საინჟინრო - გეოლოგიური პირობების შეფასება
- 3. წყალსაცავის საინჟინრო - გეოლოგიური პირობები
 - 3.1. ნამახვანის ჰესის წყალსაცავის საინჟინრო - გეოლოგიური პირობები
 - 3.2. უონეთის ჰესის წყალსაცავის საინჟინრო - გეოლოგიური პირობები
 - 3.3. ტვიშის ჰესის წყალსაცავის საინჟინრო - გეოლოგიური პირობები
- 4. სამშენებლო მასალები
- 5. ცნობა ტვიშის ჰესის კაშხალის გასწორსა და ნამახვანის წყალსაცავის კიდურა უბანს შორის დერივაციული გვირაბის საინჟინრო - გეოლოგიური პირობების შესახებ

ნახაზების სია

- 1. რაიონის გეოლოგიური რუკა (1:50 000)
- 2. რაიონის გეოლოგიურ-სტრუქტურული ჭრილი მდ. რიონის გასწვრივ (1:50 000X1:10 000)
- 3. მამაწმინდის თიხნარის ანალიზის რენტგენოგრამა № 1
- 4. მამაწმინდის თიხნარის ანალიზის რენტგენოგრამა № 2

2.1 გეოლოგიური აგებულება

შესავალი

ძირითადი ანგარიშის წინამდებარე დამატება შეიქმნა არსებული გეოლოგიური ინფორმაციის უფრო სრულად წარმოდგენისთვის. ნაშრომში გამოყენებულია რაიონის რეგიონული გეოლოგიური აგებულების 2 ანგარიში და ნამახვანის ჰესების საინჟინრო-გეოლოგიური აგებულების 6 ანგარიში. ხანმოკლე საველე (საექსპედიციო) დაკვირვებების დროს ჩატარდა საპროექტო უბნის მონაკვეთზე მდ. რიონის ხეობის დათვალიერება, კაშხლების სავარაუდო მშენებლობის ადგილებზე დაკვირვება და ფოტოგრაფირება, პორფირიტულ დასტაში განსხვავებული ქანების ნიმუშების აღება. სოფ. მამაწმინდის თიხნარის სავარაუდო საბადოდან ნიმუშებია აღებული რენტგენოსტრუქტურული მეთოდით მისი მინერალოგიური შედგენილობის დასადგენად.

რაიონის გეოლოგიური აგებულება

განსახილველი რაიონი მდებარეობს სამხრეთ მთისწინეთში, მდ. რიონის ხეობის შუა სუბმერიდიანული მონაკვეთის ფარგლებში. რაიონის უმთავრესი გეომორფოლოგიური ერთეულია ოკრიბის თაღოვანი აზევება, რომელიც ამიერკავკასიის მთათაშუეთში ტრანსკავკასიური აზევების ზოლში მდებარეობს. იგი მთლიანად აგებულია იურული ასაკის განსხვავებული ფორმაციული შემადგენლობის ქანებით. მდ. რიონის და მისი სხვადასხვა ზომის მრავალრიცხოვანი გარდიგარდმო შენაკადებით დანაწევრებული ოკრიბის ტერიტორია ზოგადად დაბალმთიან-ბორცვიანი რელიეფით ხასიათდება.

ოკრიბის აზევება ყველა მხრიდან შემოფარგლულია შედარებით მაღალი (200-300 მ-მდე) ცარცული ასაკის კირქვების ფლატეებით. მას ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრება მაღალი და საშუალომთიანი, ზოგჯერ კარსტული რელიეფის მქონე რაიონი, სადაც გაშიშვლებულია ძირითადად ცარცული და აგრეთვე პალეოგენური ნალექები. ამ უბანზე, რომელიც ნამახვანჰესების მშენებლობის ტერიტორიაში შემოდის, მდ. რიონი კირქველ ქანებში ვიწრო, კლდეკარის მსგავს ხეობას ქმნის (იხ. ნახ. 1 და 2).

1.2.1. ქანების სტრატეგრაფია და ლითოლოგია მეზოზოური ნალექები

იურული სისტემა

ცნობილია, რომ საამშენებლო რეგიონი ძირითადად აგებულია იურული და ცარცულ ასაკის ნალექებით, ეს უკანასკნელი კი მხოლოდ სოფ. ტვიშის ზემოთ გვხვდება. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია ამ ტერიტორიაზე მეოთხეული ასაკის ნალექები, რომელიც მდ. რიონის დინების როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა ჭაღისზედა ტერასებს ავსებს.

იურული ნალექები სამი იარუსითაა წარმოდგენილი:

1. პორფირიტული წყება (J_2b)
2. ბათური – ქვიშაქვები და თიხაფიქლები (J_2bt)
3. "ფერადი წყება" – თიხები და ქვიშაქვები (J_{3ak_1} , J_{3ak_2})

შუა იურა

შუაიურული ასაკის ნალექები წარმოდგენილია ბაიოსური და ბათური სართულებით, მათგან ბაიოსური წარმონაქმნები გაცილებით მეტი გავრცელებით სარგებლობს, რომლებსაც განსახილველი ტერიტორიის 2/3 ნაწილი უკავიათ.

ბაიოსის "პორფირული წყება" – (ვულკანოგენურ-ტუფოგენური ფაციესი) იყოფა ორ ზედა- და ქვედაბაიოსურ ქვეწყებად. ბაიოსის ქვედა იარუსის ზედა ნაწილი ($J_2bj_1^3$) წარმოდგენილია ძირითადად მსხვილნატეხოვანი ტუფო-ბრექჩიებით და ტუფებით. თავის მხრივ ბაიოსის ზედა იარუსი (J_2bj_2) იყოფა სამ ქვეწყებად, სადაც მისი ქვედა ნაწილი ($J_2bj_2^1$) აგებულია ლავო-ბრექჩიებით, მიკრო-ბრექჩიებით და ტუფებით. შუა ქვეწყება ($J_2bj_2^2$) ძირითადად წარმოდგენილია მსხვილნატეხოვანი ტუფო-ბრექჩიებით და ლავო-ბრექჩიებით, ტუფო-ქვიშაქვებით და არგილიტებით. ზედა ნაწილი ($J_2bj_2^3$) – წარმოდგენილია უხეშნატეხოვანი ტუფო-ბრექჩიებით, პორფირიტებით, ქვიშაქვებით და არგილიტებით.

ბათური (J_2bt) იარუსი ამ რეგიონში ძირითადად ორი წყებითაა წარმოდგენილი, რომელიც გეოლოგიურ ლიტერატურაში ძმუისის (J_2dz) და ტყიბულის (J_2tkb) წყებების სახელითაა ცნობილი. პირველი მათგანი თხელშრეებრივი თიხა-ფიქლებით, არგილიტებით და ქვიშაქვებითაა აგებული, ხოლო მეორე – ძირითადად შრეებრივი ქვიშაქვებითაა აგებული.

ბაიოსი

ბაიოსური ასაკის ნალექები, რომლებიც წარმოდგენილია პორფირიტული წყებით, პირობითად შეიძლება გავათანაბროთ აფხაზეთის სინქრონულ ბაიოსურ ხოჯალის წყებასთან. ბაიოსური ნალექები შეადგენენ განსახილველ რაიონში ყველაზე ძველ წარმონაქმნებს, რომელთა ფუძე აღნიშნულ ტერიტორიაზე არ ჩანს. პორფირიტული წყება ფაციესურად მრავალფეროვანი და მძლავრი კომპლექსია, რომელიც შეიცავს როგორც ვულკანოგენურ ისე, ნაწილობრივ, ნორმულ ტერიგენულ ნალექებსაც.

ბაიოსური ნალექების დეტალური დანაწილების და მათი ლითოსტრატოგრაფიული შედგენილობის შესახებ გეოლოგიურ ლიტერატურაში საყრდენ ჭრილად მიჩნეულია მდ. რიონის შუადინების მონაკვეთი, ქუთაისი-ონის საავტომობილო გზის გასწვრივ. გამომდინარე იმ ამოცანიდან, რომელიც შეეხება მდ. რიონის დინების ამავე მონაკვეთზე ჰესების კასკადის მშენებლობას (ქონეთი, ნამახვანი და ტვიში) აუცილებლად მიგვაჩნია გეოლოგიური და ლითოლოგიური მონაცემების დეტალური დახასიათება. ამასთან ერთად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც რაიონის ზოგადგეოლოგიურ აგებულებას, ისე ცალკეული მონაკვეთების დეტალურ აღწერას.

ოკრიბის ფარგლებში ბაიოსური ასაკის პორფირიტული წყების ლითოლოგიურ-სტრატოგრაფიული საყრდენი ჭრილი გაიდევნება მდ. რიონის ხეობაში, ქუთაისი-ონის საავტომობილო გზის გასწვრივ, სოფ. ტვიშიდან სოფ. ოფურ-ჩხეთამდე. ლითოფაციალური ანალიზის შედეგად ამ ჭრილში (აგრეთვე მდ. რიონის შენაკადებში არსებული ჭრილების გათვალისწინებით), ბაიოსის პორფირიტულ წყებაში გამოიყოფა 11 ლითოლოგიური დასტა, რომლებიც ერთმანეთში თანხმობით გადადიან.

დასტა 1. თხელშრეებრივი ფსეფიტური, ფსამიტური, პელიტური ლითოკლასტური და კრისტალოკლასტური გააღბიტებული აგეიტ-ლაბრადორიანი პორფირიტების ტუფებისა და იმავე შედგენილობის სქელშრეებრივი (2-3 მ) განფენების და მიკრობრეჭიების მორიგეობა, სიმძლავრე – 250 მ. ეს დასტა წარმოადგენს ყველაზე ძველ ბაიოსურ ნალექებს განსახილველ რაიონში და გამიშვლებულია სოფ. ონჭეიშის მახლობლად, იმავე დასახლების ანტიკლინის თაღის სამხრეთ ფრთაში. იგი აქ მცირე გავრცელებით სარგებლობს, რადგან სწრაფად იძირება უფრო ახალგაზრდა წარმონაქმნების ქვეშ, ხოლო ჩრდილოეთიდან კი ჩამოჭრი-

ლია რღვევით. დასტის შუა ნაწილში ნაპოვნი ამონიტების ფაუნის მიხედვით მისი შემცველი ნალექები მიეკუთვნება ქვედა ბაიოსის ზედა მესამე ბიოსტრატოგრაფიულ ზონას.

დასტა 2. მასიური ტუფო-ბრექჩიები, ლავა-ბრექჩიები (ნატეხების ზომა რამდენიმე სმ-დან 1,5 მ-მდე აღწევს) და ფსეფიტული ლითოკლასტური, ნაწილობრივ გააღბიტებული ავგიტ-ლაბრადორიანი პორფირიტების ტუფები, სიმძლავრე – 250 მ. ეს დასტაც, როგორც ზემოთ აღწერილი ნალექები, მცირე გავრცელებით სარგებლობს და გაშიშვლებულია მდ. მოლეკურის სათავეებიდან სოფ. ჩაშლე-თამდე და ჩრდილოეთიდან ისიც ჩამოჭრილია რღვევით. ამ დასტაში გავრცელებული ამონიტების ფაუნის მიხედვით ეს ნალექები განისაზღვრება როგორც ქვედა ბაიოსის ზედა მესამე ბიოსტრატოგრაფიული ზონის წარმონაქმნები.

დასტა 3. თხელი და საშუალოშრეებრივი (0,2-0,5 მ) ტუფებისა და არგილიტების მორიგეობა შედარებით სქელშრეებრივ (3 მ-მდე) მიკრობრექჩიებთან და ხშირად გააღბიტებულ ავგიტ-ლაბრადორიან პორფირიტების ტუფებთან და ტუფო-ქვიშაქვებთან. სიმძლავრე 300 მ. აღნიშნული დასტა, ზემოაღწერილისაგან განსხვავებით, გავრცელებულია უფრო დიდ ფართობზე, მდ. ლეხიდარის მარცხენა ნაპირიდან მდ. მდ. მოლეკურის და საკალმახოს წყალგამყოფზე და სოფ. ნამახვანის მიდამოებში. იმავე სახელწოდების ანტიკლინის თაღურ ნაწილში ამ დასტაში ნაპოვნი ამონიტების ფაუნა საშუალებას გვაძლევს ეს წარმონაქმნები მივაკუთვნოთ ზედა ბაიოსის ქვედა პირველი ბიოსტრატოგრაფიული ზონის ნალექებს.

ამრიგად, ოკრიბაში დგინდება საზღვარი ქვედა და ზედა ბაიოსურ ქვესართულებს შორის. ქვედაბაიოსური წარმონაქმნები ძალიან მცირე გავრცელებით სარგებლობენ (2-3 კმ²) და მათი სიმძლავრე 500-550 მ-ს არ აღემატება.

დასტა 4. მასიური (50 მ-მდე) ლავა-ბრექჩიები, ტუფო-ბრექჩიები და ავგიტ-ლაბრადორიანი პორფირიტების წვრილნატეხოვანი ტუფები. ნატეხების ზომა ბრექჩიებში რამდენიმე სმ-დან ერთ მეტრამდე ცვალებადობს, სიმძლავრე – 200 მ. ამ დასტის ლავა-ბრექჩიები კარგადაა გაშიშვლებული სოფ. მოლეკურის სამხრეთით და სოფ. ნამახვანის ჩრდილო-აღმოსავლეთით იქ, სადაც მდ. რიონის მარჯვენა უსახელო შენაკადი ჩანჩქერს ქმნის, მდ. ლეხიდარის ხეობის მარცხენა ფერდზე, სოფ. მექვენას მიდამოებში, სადაც ჭრილში აღინიშნება ლავეებისა და ლავა-ბრექჩიების განსხვავებული შეფარდება. სოფ. ჟონეთის ახლოს ამ დასტაში გავრცელებულია მხოლოდ საშუალო და წვრილნატეხოვანი ტუფო-ბრექჩიები.

დასტა 5. სქელშრეებრივი (4-6 მ-მდე), იშვიათად მასიური, ფსეფიტური, ზოლებიანი ლითონ- და კრისტალოკლასტური გააღბიტებული ავგიტ-ლაბრადორიანი პორფირიტების ტუფებისა და საშუალოშრეებრივი (1-2 მ) გრაუვაკული ქვიშაქვების მორიგეობა. სიმძლავრე – 250-300 მ. ამ დასტის ნალექები გაშიშვლებულია ოკრიბის ცენტრალურ ნაწილში სოფლების კიროვის და ოფურჩხეთის მიდამოებში.

დასტა 6. მასიური, ძირითადად წვრილნატეხოვანი ტუფო-ბრეჩიები და გააღბიტებული ავგიტ-ლაბრადორიანი პორფირიტების ფსეფიტური ტუფები, სიმძლავრე – 150 მ. ეს დასტა კარგად არის გაშიშვლებული სოფლების ჟონეთის, კიროვის, კისორეთის მიდამოებში, მდ. საკალმახოს სათავეებში და მდინარეების რიონის და ცხენის-წყლის წყალგამყოფზე. მისი გავრცელების ცენტრალურ ნაწილში ქანები ღია-ნაცრისფერებით ხასიათდება, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით მოვარდისფრო ფერს იღებს. ჩრდილო მიმართულებით ამ დასტის წარმონაქმნები უფრო უხეშნატეხოვანი ხდებიან და ზოგჯერ ლავაბრეჩიებში გადადიან.

დასტა 7. საშუალო და სქელშრეებრივი (2-3 მ-მდე) ფსეფიტური ავგიტ-ლაბრადორიანი პორფირიტების, ტუფებისა და თხელშრეებრივი იმავე შედგენილობის ტუფების, არგილიტების და ტუფოქვიშაქვების მორიგეობა. სიმძლავრე – 120-150 მ. ეს დასტა კარგად გაიდევნება სოფლების კიროვის, ჟონეთის, ძმუისის და სხვ. მიდამოებში. აღნიშნულ ნალექებში გავრცელებულია ამონიტების ფაუნა, რომელიც დამახასიათებელია ზედა ბაიოსის მეორე ბიოსტრატეგრაფიული ზონისთვის. ეს კი საშუალებას გვაძლევს გავატაროთ სტრატეგრაფიული საზღვარი ზედა ბაიოსის პირველსა და მეორე ბიოსტრატეგრაფიულ ზონებს შორის, მაგრამ ეს საზღვარი პირობითია, რადგან ფაუნისტურად დახასიათებულ ნალექებს შორის გავრცელებული 600 მ-ის სიმძლავრის წარმონაქმნები არ არის დათარიღებული, ამიტომ გეოლოგიურ რუკაზე ეს სტრატეგრაფიული საზღვარი (6 და 7 დასტას შორის) პუნქტირით არის გატარებული.

დასტა 8. ავგიტ-ლაბრადორიანი პორფირიტების მასიური მსხვილნატეხოვანი ლავა-ბრეჩიები იშვიათად კი ტუფო-ბრეჩიები (ცენტრალურ და ჩრდილო-დასავლეთ უბნებზე) და მასიური საშუალო- და წვრილნატეხოვანი ბრეჩიები და ტუფები. სიმძლავრე – 150-200 მ. ამ დასტას ოკრიბის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი გავრცელება აქვს.

დასტა 9. თხელ- და საშუალოშრეებრივი ტუფო-ქვიშაქვების, ქვიშიანი არგილიტების, თიხიანი ქვიშაქვების და იშვიათად ტუფების მორიგეობა. სიმძლავრე

– 125-200 მ. ამ დასტის ჭრილში ნაპოვნი იქნა ზედა ბაიოსის მესამე ზედა ზონის ამონიტების ფაუნა. ამის საფუძველზე მის ფუძეში გატარებულია საზღვარი ზედა ბაიოსის მეორე და მესამე ზედა ბიოსტრატოგრაფიულ ზონებს შორის.

დასტა 10. ტუფო-ბრექჩიები, რომლებშიც ჩართულია სხვადასხვანაირად ორიენტირებული არგილიტებისა და ტუფოქვიშაქვების ბელტები, რაც დასტას “ხლართული” დაშრევების სახეს აძლევს. სიმძლავრე – 50-100 მ. სოფ. დღნორისასთან ეს დასტა ტუფო-ქვიშაქვებით არის წარმოდგენილი.

დასტა 11. თხელ- და საშუალოშრეებრივი ქვიშაქვები, ქარსიანი ქვიშაქვები და ქვიშიანი თიხები, მცირე სიმძლავრის (2-4 მ-დან იშვიათად 20 მ-მდე) ფურცელა ფიქლების შუაშრევებით (“მწვანე ფიქლებისა და ქვიშაქვების” დასტა). სიმძლავრე – 100-150 მ. სოფ. დღნორისასთან ეს დასტა წარმოდგენილია წვრილნატეხოვანი ბრექჩიებით და ფერადი ტუფებით. ოკრიბაში, სხვადასხვა ადგილას ამ დასტის რამდენიმე სტრატოგრაფიულ დონეზე გავრცელებულია ამონიტების მდიდარი ფაუნა, რაც საშუალებას იძლევა ეს წარმონაქმნები ზედა ბაიოსის მესამე ბიოსტრატოგრაფიული ზონის ნალექებად დავათარილოთ.

ამრიგად, ზემოთ აღწერილი ჭრილი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მდ. რიონის ჭრილში გაშიშვლებული ბაიოსის პორფირიტული წყების წარმონაქმნების სიმძლავრე დაახლოებით 2000 მ-ს შეადგენს, აქედან ზედა ქვეწყების სიმძლავრეა 1400-1500 მ, ხოლო ქვედასი კი – 500 მ-მდეა. ამას უნდა დაემატოს სტრუქტურული ჭაბურღილი №1 ტრესტი “საქნავთობი“-ს მიერ ონჭეის ანტიკლინის თაღური ნაწილის სამხრეთ ფერდზე გაბურღული ბაიოსური ნალექების სიმძლავრე 700-800 მ, რომელიც არ გასულა ქვედაბაიოსური ასაკის ქანებიდან. ამის გათვალისწინებით მთელი ბაიოსის პორფირიტული წყების საგარაუდო სიმძლავრე ოკრიბის ცენტრალურ ნაწილში 3000 მ არ უნდა აღემატებოდეს. აქედან ქვედა ბაიოსის წარმონაქმნები, რომლებიც გავრცელებული არიან მხოლოდ ონჭეის ანტიკლინის თაღურ ნაწილში, 1200-1300 მ სიმძლავრით ხასიათდებიან. ამრიგად, ონჭეის ანტიკლინი ოკრიბის აზეგების ფარგლებში მაქსიმალურად ამოწეულ უბანს წარმოადგენს.

ბათი

ზედა ბაიოსის ვულკანოგენურ-ტერიგენული წარმონაქმნები განსახილველი ტერიტორიის ფარგლებში თანხმობით გადადიან ზემოთ განლაგებულ შუა იურ-

ის ბათური ასაკის ნალექებში. ეს უკანასკნელი ლითოლოგიურად ორ წყებად იყოფა. ქვედა ძირითადად წარმოდგენილია ფურცელა ფიქლებით და აგრეთვე არგილიტებითა და ქვიშაქვებით, ზედა კი აგებულია მხოლოდ ქვიშაქვებით და იშვიათად ალევროლიტებით, რომლებშიც ტყიბულისა და გელათის ქვანახშირის საბადოებია განთავსებული. ოკრიბის ფარგლებში ფურცელა ფიქლები გამოიყოფა ძმუისის წყების სახელწოდებით, ხოლო ქვანახშირიანი ქვიშაქვები კი მიეკუთვნება ტყიბულის წყებას.

ძ მ უ ი ს ი ს წ ყ ე ბ ა თანხმობით ცვლის ბაიოსის ზედა ბიოსტრატოგრაფიული ზონის ნალექებს. გადასვლა ისეთი თანდათანობითია, რომ მათ შორის გატარებული საზღვარი პირობითია. ძმუისის წყება ყველაზე სრულად არის წარმოდგენილი სოფლების ძმუისის, ჯვარისას და სხვ. მახლობლად. დიდი გვარცვლებით სარგებლობს ძმუისის წყება განსახილველი ტერიტორიის სამხრეთ კიდეზეც სოფლების ზარათის, რიონის და გუმათის მიდამოებში. მისი ცალკეული იზოლირებული გამოსავალი აღინიშნება სოფ. ოჯოლას მახლობლად, სადაც ეს ნალექები გავრცელებულია წიფლარი-ოჯოლის სინკლინის გულის ფარგლებში. ძმუისის წყება გაშიშვლებულია აგრეთვე სოფლების დერჩის და დღნორისას შორის. აქ ის ზემოდან ტრანსგრესიულად იფარება ზედაიურული ასაკის ფერადი წყებით. სოფ. დღნორისასთან ბათური ასაკის ფურცელა ფიქლები გამოდიან სინკლინის გულში, სადაც მათი სიმძლავრე 30-40 მ-ია.

ფურცელა ფიქლები ოკრიბის ბევრ ადგილას ხასიათდებიან ბითუმის მაღალი შემცველობით და ამიტომ მათ საწვავ ფიქლებს უწოდებენ. ბითუმით განდიდრებული ფიქლები გავრცელებულია საავტომობილო გზის გასწვრივ სოფლების გუმათსა და ოფურჩხეთს შორის, აგრეთვე სოფლების რიონისა და ზარათის მახლობლად. აღსანიშნავია, რომ ძმუისის წყების ფურცელა ფიქლებში განსახილველ ტერიტორიაზე გავრცელებულია ლაბრადორიანი პორფირიტების, დიაბაზ-პორფირიტების, დიორიტ-პორფირიტების და ტეშენიტების მრავალრიცხოვანი ინტრუზიული სხეულები (სოფლების გუმათის, ზარათის, ოჯოლას და სხვ. მიდამოებში). ძმუისის წყების სიმძლავრე ოკრიბის ფარგლებში ძლიერ ცვალებადია და 40 მ-დან 250 მ-მდე მერყეობს. სოფ. ძმუისთან (მდ. ლეხიდარის სათავეები) ამ ნალექების სიმძლავრე 150 მ შეადგენს.

ტ ყ ი ბ უ ლ ი ს წ ყ ე ბ ა თანხმობით აგრძელებს ძმუისის ფურცელა ფიქლების ნალექებს. ის თითქმის მთლიანად აგებულია ქარსიანი ქვიშაქვებით, რომლებიც აღმავეალ ჭრილში იცვლებიან შრეებრივი პროდუქტიული დასტით.

ტყიბულის წყება გავრცელებულია ძირითადად ოკრიბის აზევების პერიფერიაზე, სადაც ის ბაიოსის პორფირიტულ წყებას სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან შემოსაზღვრავს. სოფ. გუმათის ჩრდილოეთით აღინიშნება ტყიბულის წყების გამოსავლების 1 კმ-მდე სიგრძის და ვიწრო (50-70 მ) მერიდიანული ზოლი. ყველაზე სრულად იგი წარმოდგენილია ოკრიბის სამხრეთ კიდეზე გელათის ქვანახშირის საბადოზე და მდ. ტყიბულას აუზში, ტყიბულის ქვანახშირის საბადოს რაიონში (განსახილველი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ), სადაც მისი სიმძლავრე ძლიერ ცვალებადია და 100-300 მ შეადგენს. ტყიბულის წყების ნალექები ოკრიბის ჩრდილო პერიფერიაზე გავრცელებული არ არის. აქ ბაიოსის პორფირიტულ წარმონაქმნებზე და ძმუისის წყებაზე ტრანსგრესიულად არის განლაგებული ზედაიურული ასაკის ფერადი წყება.

ზედა იურა

კალოვიური – ტიტონი სართულები

განსახილველ ტერიტორიაზე გავრცელებული ზედაიურული ასაკის ნალექები გეოლოგიურ ლიტერატურაში ცნობილია ფერადი წყების სახელწოდებით. ისინი გაშიშვლებულია სოფლების ტვიშის, ორხვის და დერჩის მდამოებში და მათ დასავლეთით და აღმოსავლეთით, ცარცული ასაკის კირქვების ფლატეების ძირში. ზედაიურული ნალექები ტრანსგრესიულადაა განლაგებული შუა იურული წყებების სხვადასხვა ჰორიზონტებზე და თავის მხრივ აგრეთვე უთანხმოდ არის გადაფარებული ქვედა ცარცული წარმონაქმნებით. ოკრიბის ფერადი წყების ნალექები მოიცავენ ფართო ასაკობრივ ინტერვალს – კალოვიურიდან ტიტონის ჩათვლით. მათ, აფხაზეთში გავრცელებული ანალოგიური წარმონაქმნების მსგავსად ოკრიბაშიც ეწოდებათ ა კ ა რ მ ა რ ი ს წ ყ ე ბ ა, იმ განსხვავებით, რომ აქ ის ორ ნაწილად არის გაყოფილი, ქვედა აგებულია ქვიშაქვებით და ზედა წარმოდგენილია ფერადი წარმონაქმნებით, რომლებიც ერთმანეთში თანდათანობით გადადიან.

ქვედა ქვეწყება, რომელიც კალოვიური ასაკის ნალექებს მიეკუთვნება, წარმოდგენილია უხეშმარცვლოვანი მასიური და სქელშრებრივი არკოზული და არკოზულ-გრაუვაკიანი ქვიშაქვებით, რომლებშიაც აღინიშნება კონგლომერატების ლინზები. ქვიშაქვების დასტის სიმძლავრე 20 მ-დან 40 მ-მდე ცვალებადობს. ეს ქვეწყება ძირითადად გავრცელებულია განსახილველი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

აკარმარის წყების ზედა ქვეწყება წარმოდგენილია საკუთრივ ფერადი წყებით, რომელიც ოქსფორდ-ტიტონურად თარიღდება. ოკრიბის ჩრდილო პერიფერიაზე, სადაც ქვედა ქვეწყების გამოსავლები არ აღინიშნება, იგი უთანხმოდ, ბაზალური კონგლომერატებით არის განლაგებული შუაიურულ წარმონაქმნებზე. აქ ქვეწყება წარმოდგენილია ნაცრისფერი, წითელი, ვარდისფერი, ყვითელი და მოყავისფრო-ნაცრისფერი თიხებით, ზოგჯერ თაბაშირიანი თიხებით და თიხიანი ქვიშაქვებით, ქვიშიანი თიხებით, კარბონატული ქვიშაქვებით და სხვადასხვა მარცვლოვანი ქვიშაქვებით. თუ ვიმსჯელებთ ქანების ლითოლოგიური შემადგენლობით შეიძლება დავასკვნათ, რომ ფერადი წყება ეპიკონტინენტური თხელი ზღვის, ზოგ ადგილებში კი ლაგუნური ფაციესით. ზედა ქვეწყების სიმძლავრე დიდ ფარგლებში იცვლება. სოფ. დღნორიას მიდამოებში იგი 100 მ არ აღემატება. ამავე სოფლის ჩრდილოეთით ამ ნალექებში განლაგებულია ბაზალტების ინტრუზიული სხეული.

ცარცული სისტემა

ცარცული ასაკის ნალექები გავრცელებულია განსახილველი რაიონის ჩრდილო პერიფერიაზე, სადაც ისინი სრული სტრატეგრაფიული ჭრილით არიან წარმოდგენილი და ზემოდან თანხმობით თანდათანობით პალეოგენური ასაკის წარმონაქმნებით იფარებიან.

ქვედა ცარცი

ქვედაცარცული ასაკის ნალექები წარმოდგენილია ძირითადად კარბონატული და ტერიგენულ-კარბონატული წარმონაქმნებით.

ბერიასი-ვალანჟინი-ჰოტერივი

ამ ასაკის ნალექები ქვედა ნაწილში ძირითადად წარმოდგენილია კვარც-არკოზული ქვიშაქვებით და წვრილქვარგვალეებიანი კონგლომერატებით (სიმძლავრე 10-40 მ). ზედა ნაწილი კი აგებულია მკვრივი და შრეებრივი, ხშირად ქვიშიანი ნაცრისფერი, ვარდისფერი, მოყვითალო და ყავისფერი კრისტალური კირქვებით, გადოლომიტებული კირქვებით და მერგელებით. ამ ქვედა ნეოკომური ნალექების საერთო სიმძლავრე 130-140 მ.

ბარემი

ბარემული კირქვები თანდათანობით ცვლის ქვედა ნეოკომურ ნალექებს. ისინი განსახილველი რაიონის ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაზე ქმნიან მაღალ კარნიზებს, რომლებიც გარს ეკვრიან ოკრიბის აზეუებას. ბარემული ნალექები წარმოდგენილია სქელშრებრივი და მასიური კრისტალური მკვრივი ნაცრისფერი, მოყვითალო და ვარდისფერი ურგონული ფაციესის კირქვებით. სიმძლავრე 280-290 მ. ზემოთ ისინი თანხმობით გადადიან აპტური ასაკის წარმონაქმნებში.

აპტი

აპტური ასაკის ნალექები წარმოდგენილია შრებრივი ნაცრისფერი და მუქი ნაცრისფერი კირქვებით, მერგელოვანი კირქვებით და მუქი ნაცრისფერი მერგელებით, რომელთა საერთო სიმძლავრე 50 მ-მდეა. მათ ზემოთ თანხმობით მოყვებიან ალბური ასაკის წარმონაქმნები.

ალბი

ალბური ასაკის ნალექები წარმოდგენილია მოცისფრო-ნაცრისფერი თიხებით, მერგელებით, კირქვებით, რომლებიც ზემოთ იცვლებიან გლაუკონიტის ქვიშაქვების მორიგეობით. ალბური ასაკის ნალექების სიმძლავრე 30 მ-დან 60 მ-მდე ცვალებადობს.

ზედა ცარცი

განსახილველი ტერიტორიის ფარგლებში ზედა ცარცი წარმოდგენილია ყველა სართულით, სენომანიდან მაასტრიხტის ჩათვლით.

სენომანი

სენომანური ასაკის ნალექები თანხმობითაა განლაგებული ალბური ასაკის თიხა-მერგელოვან ქანებზე. ისინი ძირითადად წარმოდგენილია მომწვანო-ნაცრისფერი თხელშრებრივი, სქელშრებრივი და მასიური გლაუკონიტის არათანაბარმარცვლოვანი ქვიშაქვებით. ეს უკანასკნელნი ზემოთ თანდათანობით გადადიან ნაცრისფერ გლაუკონიტის მერგელებში. ამ ნალექების სიმძლავრე 30-40 მ შეადგენს.

ტურონ-კონიაკი

ამ ასაკის წარმონაქმნები თანხმობით ადევს სენომანური ასაკის ნალექებს. ისინი წარმოდგენილი არიან მკვრივი ნაცრისფერი, ვარდისფერი, მოცისფრო-ნაცრისფერი თხელი და სქელშრეებრივი კირქვებით, რომლებშიც აღინიშნება მწვანე მერგელების შუაშრეები. მათი სიმძლავრე შეადგენს 45-55 მ.

სანტონი-კამპანი-მაასტრიხტი

ზემოთ აღნიშნული ნალექები თანხმობით იცვლებიან სანტონ-მაასტრიხტული ასაკის სქელშრეებრივი კირქვებით. ისინი ძირითადად შედგებიან ლითოგრაფული ტიპის კირქვებისაგან, რომლებშიც ხშირად ჩართულია თეთრი, წითელი, ყავისფერი და ნაცრისფერი კაუების კონკრეციები. ნალექების სიმძლავრე განსახილველ რაიონში 100-170 მ-ის ფარგლებში მერყეობს.

კაინოზოური ნალექები

პალეოგენური სისტემა

განსახილველ ტერიტორიაზე პალეოგენური ასაკის წარმონაქმნები წარმოდგენილია ყველა სართულით დანიურიდან ოლიგოცენის ჩათვლით.

დანიური

დანიური ასაკის ნალექები სრული თანხმობით აგრძელებენ მასტრიხტულ კირქვებს. ისინი ძირითადად წარმოდგენილია თეთრი, ნაცრისფერი და მოვარდისფრო-ნაცრისფერი მკვრივი კირქვებით, ზოგჯერ კი ქვიშიანი კირქვებით. მათი სიმძლავრე 80-120 მ.

პალეოცენი-ეოცენი

აღნიშნული ასაკის ნალექები წარმოდგენილია მხოლოდ კირქვიანი ფაციესით. პალეოცენი აგებულია ღია-ნაცრისფერი და ვარდისფერი მკვრივი კირქვებით, ცარცისებური, ზოგჯერ კი ქვიშიანი კირქვებით, რომელთა საერთო სიმძლავრე 60-110 მ. ქვედა-შუაეოცენური ასაკის ნალექები თანხმობით აგრძელებს პალეოცენურ წარმონაქმნებს და წარმოდგენილია ნაცრისფერი შრეებრივი კირქვებით, რომლებშიც აღინიშნება ნაცრისფერი მერგელების შუაშრეები. მათი სიმძლავრე 40 მ-ს შეადგენს. ისინი ზემოთ თანხმობით იცვლება ზედაეოცენური ასაკის ნალექებით, რომლებიც შედგებიან მოცისფრო-ნაცრისფერი მერგელების-

გან, მომწვანო-ნაცრისფერი კირქვებისაგან და ქვიშაქვებისაგან. ამ წარმონაქმნების სიმძლავრე 80-დან 120 მ-ის ფარგლებში იცვლება.

ოლიგოცენი

ოლიგოცენური ასაკის ნალექები ტრანსგრესიულადაა განლაგებული ეოცენური, პალეოცენური, ცარცული და იურული ასაკის ნალექებზე. ისინი წარმოდგენილია მძლავრი ყავისფერი იაროზიტისანი ერთგვაროვანი მაიკოპური ფაციესის ფურცელა თიხებით, რომლებშიც გამოერევა მომწვანო ფერის ქვიშაქვებისა და თხელშრეებრივი მოყვითალო-ნაცრისფერი თიხიანი ქვიშაქვები. ზოგჯერ თიხიან ქვიშაქვებში დიდი რაოდენობით გვხვდება თევზის ქერცლები. ოლიგოცენური ასაკის წარმონაქმნების სიმძლავრე განსახილველ ტერიტორიაზე 100 მ-დან 250 მ-მდე მერყეობს, ზოგ ადგილებში კი მკვეთრად მცირდება პირველ ათეულ მ-მდე. ოლიგოცენური ასაკის მაიკოპის ფაციესის ნალექები საქართველოს სხვა რაიონებში ოლიგოცენ-ქვედამიოცენურ წარმონაქმნებად არიან დათარიღებულნი.

ნეოგენური სისტემა

ნეოგენური ნალექები გავრცელებულია ტერიტორიის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ კიდეში და წარმოდგენილია მიოცენური წარმონაქმნებით.

მიოცენი

მიოცენური ნალექები რაიონში ფართო გავრცელებით სარგებლობს და წარმოდგენილია ყველა ცნობილი ჰორიზონტით, დაწყებული საყარაულოს ჰორიზონტიდან კარაგანული ჰორიზონტის ჩათვლით.

ქვედა მიოცენი (საყარაულო, კოწახური, თარხნული) რეგრესიული ბუნებისაა და ძირითადად შედგება თხელ- და სქელშრეებრივი ქვიშაქვებისაგან, თიხიანი ქვიშაქვებისაგან და თიხებისაგან. სიმძლავრე 110-200 მ.

შუა მიოცენი (ჩოკრაკი, კარაგანი) ტრანსგრესიულადაა განლაგებული ქვემდებარე წარმონაქმნებზე და აგებულია სქელშრეებრივი ქვიშაქვებით, თიხიანი ქვიშაქვებით და თიხებით, რომლებშიც იშვიათად კონგლომერატების და ქვიშიანი კირქვების დასტები აღინიშნება. ნალექები ხასითდებიან ცვალებადი სიმძლავრით 120 მ-დან 450 მ-მდე.

ზემოთ აღწერილ მიოცენურზე უფრო ახალგაზრდა ნეოგენური (ზედამიოცენ-პლიოცენი) ნალექები განსახილველი ტერიტორიის ფარგლებში არ არიან გავრცელებული.

მეოთხეული სისტემა

განსახილველ ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი გავრცელებით სარგებლობენ მეოთხეული ასაკის ნალექები, რომლებიც განსხვავებული ასაკის სხვადასხვა გენეტიური ტიპებით არიან წარმოდგენილი. ისინი ძირითადად განვითარებულია დიდი მდინარეების ხეობებში და მთიანი რელიეფის ფერდობებზე. მათ შორის გამოიყოფა ალუვიური, დელუვიური, პროლუვიური და კოლუვიური ნალექები, რომლებიც არათანაბრი გავრცელებით ხასიათდებიან.

ალუვიური წარმონაქმნები რაიონში ფართოდაა გავრცელებული და წარმოდგენილია ძველი (ზედა-შუაპლეისტოცენური) და თანამედროვე ნალექებით. მათ შემადგენლობაშია კაჭარი, კენჭნარი, ქვიშები და თიხები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ მათ მდ. რიონის ხეობაში, რომელიც განსახილველი ტერიტორიის ერთ-ერთი მთავრი გეომორფოლოგიური სტრუქტურაა და აგრეთვე მისი დიდი შენაკადების ფარგლებში. აქ ძველი ალუვიური წარმონაქმნები გავრცელებულია ჭალისზედა ტერასების სახით, რომლებიც ხეობების ფერდობებზე პატარა ფრაგმენტებით, ან ვიწრო წყვეტილი ზოლებით არიან წარმოდგენილი. პატარა მდინარეების ვიწრო ხეობებში ისინი იშვიათად ან სრულიად არ არიან გავრცელებული.

განსახილველი რაიონის ფარგლებში მდ. რიონის და მისი ზოგი შენაკადის ხეობებში საერთოდ გავრცელებულია ჭალისზედა სამი ტერასა. ისინი ხეობების გამოშუშავების პროცესში მდინარეების თანდათანობით ჩაღრმავების შედეგად არიან წარმოშობილი. ალუვიური ტერასები ძირითადად გავრცელებულია მდ. რიონის ხეობის გაფართოებული მონაკვეთების ფარგლებში, რომლებიც ფერდობების დამრეცი დახრილობით ხასიათდებიან. აქ, როგორც წესი განვითარებულია სხვადასხვა სიდიდის ჭალების ზოლები, ან მათი პატარა ნარჩენები, ხანდახან კუნძულების სახით, რომლებიც განლაგებულნი არიან მდინარეებში წყლის დონიდან 0,5-1,0 მ-ის სიმაღლეზე. ხეობის ფერდობების ასეთ უბნებზე აღინიშნება ჭალისზედა ტერასების განლაგების სამი დონე. დაბალი პირველი ჭალისზედა ტერასის ზედაპირი მდინარის დონიდან 3-7 მ-ზე მდებარეობს, საშუ-

ალო – მეორე ტერასის სიმაღლე 15-25 მ-ის ფარგლებშია, ხოლო მაღალი – მესამე ტერასა განლაგებულია 35-40 მ-ის სიმაღლეზე. უფრო მაღალ დონეზე განთავსებული ჭალისზედა ტერასები მდ. რიონის ხეობის განსახილველ მონაკვეთზე გავრცელებული არ არის. ალუვიური ტერასების ამგები წარმონაქმნები სხვადასხვა სიმძლავრეებით ხასიათდებიან. პირველი ჭალისზედა ტერასის ნალექების სიმძლავრე 0,5-3 მ-ია, მეორესი – 3-5 მ, მესამესი კი 6-8 მ-ს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ მდ. რიონის ხეობაში ორი ან სამი ჭალისზედა ტერასა ერთ უბანზე ერთდროულად იშვიათად არის გაშიშვლებული. ეს ფიქსირდება მხოლოდ მისი უკიდურესი სამხრეთი მონაკვეთის ფარგლებში სოფლებს ნამახვანსა და ჟონეთს შორის. მდ. რიონის ხეობის უმეტეს ჩრდილო ნაწილში, მის ფერდობებზე მხოლოდ ქვედა პირველი ჭალისზედა ტერასაა გავრცელებული და ისიც უმთავრესად მცირე ნარჩენების სახით.

ტერასების მასალა წარმოდგენილია სუსტად შეცემენტებული მრგვალი, ოვალური, ბრტყელი, წაგრძელებული და სხვა ფორმის კარგად დამუშავებული კაჭარით, კენჭნარით, ქვიშებით და თიხებით. ტერასები თავისი შედგენლობით მცირედ განსხვავდება თანამედროვე ალუვიური წარმონაქმნებისგან, მხოლოდ ისინი უფრო მჭიდრო აგებულებით ხასიათდებიან. რიყნარი შედგება ძირითადად ბაიოსური ასაკის ვულკანოგენური ქანებისაგან, ცარცული ასაკის კირქვებისაგან, გრანიტოიდებისაგან, ბაზალტებისაგან, კრისტალური ფიქლებისაგან და სხვ. ეს მასალა მასაში ჩართულია ქვიშიანი თიხების, ხრეშის და წვრილმარცვლოვანი ხვინჭის სახით.

თანამედროვე ალუვიური ნალექებით აგებულია მდ. რიონის და მისი შენაკადების კალაპოტები და ჭალები. იგი წარმოდგენილია ნაგორები და სხვადასხვანაირად დამუშავებული მრგვალი, ბრტყელი და წაგრძელებული ფორმის კაჭარისა და კენჭნარისაგან. რიყნარი ძირითადად წარმოდგენილია ალუვიური ტერასების ამგები ზემოთ აღწერილი ვულკანოგენური, დანალექი, მაგმური და მეტამორფული მსგავსი ქანებისგან. ეს მასალა შევსებულია ქვიშის, წვრილ- და მსხვილმარცვლოვანი ხრეშის და ხვინჭის ნარევი მასით. თანამედროვე ალუვიური ნალექების სიმძლავრე მდ. რიონის ხეობაში ბურღვის შედეგების მიხედვით 15-27 მ-ის ფარგლებში მერყეობს. ცარცული კლდოვანი ქანების ტვიში-ალპანის კლდეკარის ზოგ მონაკვეთზე თანამედროვე ალუვიური ნალექები იშვიათად გამოდის ზედაპირზე. აქ მდინარის ჭალა შემორჩენილია მხოლოს მცირე

იზოლირებული ნარჩენების სახით, სადაც ალუვიონის ხილული სიმძლავრე ზოგჯერ ერთეულ მეტრამდეა შემცირებული.

დელუვიური ნალექები, რომლებიც მთიან რელიეფში ფერდობის ამგები გამოფიტული ქანების მასალის დვარცოფებით ჩამორეცხვის გადაადგილებით და დაგროვების შედეგად არიან ფორმირებული, განსახილველ რაიონში დიდი ფართობული გავრცელებით სარგებლობენ. ისინი ძირითადად განვითარებული არიან მდ. რიონის და მისი შენაკადების ხეობებში და წყალგამყოფი ქედების ძირში და ქვედა ნაწილებში. დელუვიური წარმონაქმნები ხასიათდებიან ცვალებადი სიმძლავრეებით და განსახილველი ტერიტორიის ფარგლებში არათანაბარი განაწილებით. ისინი ჩვეულებრივად მცირე (1-3 მ) სიმძლავრეების ნალექებით არიან წარმოდგენილნი, მაგრამ ზოგჯერ აჭარბებენ ამ სიდიდეს.

მდ. რიონის ხეობაში კლდოვანი ქანების გავრცელების მონაკვეთზე განვითარებული დელუვიონი მცირე სიმძლავრეებისაა და წყვეტილი გავრცელებით სარგებლობს ძირითადი ქანების გაშიშვლებებს შორის. იმ ადგილებში, სადაც ხეობა ვიწროვდება და უმეტესად კლდოვანი ციცაბო ფერდობებით არის წარმოდგენილი, რომლებიც ირეცხებიან მდინარის მიერ, დელუვიონის არამძლავრი ნალექები მხოლოდ ალაგ-ალგაა გავრცელებული ან საერთოდ არ არიან განვითარებული.

ამრიგად, მცირე სიმძლავრეების მქონე დელუვიური ნალექები რაიონში გავრცელებულია თითქმის ყველგან, მაგრამ მხოლოდ წყვეტილი ნარჩენების სახით. რაც შეეხება უფრო დიდი სიმძლავრის მქონე დელუვიურ წარმონაქმნებს, ისინი ძირითადად განლაგებული არიან დამრეცი ფერდობების ძირში, იქ სადაც მდ. რიონის ხეობა ფართოვდება და ჩნდება ჭალები და ჭალისზედა ტერასები. მაგალითად, სოფ. ონჭეიშის მახლობლად დელუვიური ნალექები ქმნიან მძლავრ შლეიფს, რომლის სიგრძე 150-200 მ-ია, მდ. მოლეკურას შესართავის მიდამოებში კი 100 მ-ის სიგანის მქონე საფარს. ანალოგიური დიდი დელუვიური შლეიფები განვითარებულია მდ. რიონის ხეობის სხვა ადგილებშიც (სოფ. ნამახვანთან და სხვ.), სადაც ისინი ხშირად ალუვიური ტერასების წარმონაქმნებზე არიან გადაფარებული. დელუვიური შლეიფების მაქსიმალური სიმძლავრეები 5-10 მ-ს შეადგენს.

ცალკეული ალუვიონის საფარის ან შლეიფის ამგები მასალის კონკრეტულ შემადგენლობას განსაზღვრავენ ის ნალექები, რომელთა ჩამორეცხვა ხდება წყლის ნაკადებით და რომლებიც ხეობის ამ უბნის ფერდზე არიან გავრცელებული.

ბული. საერთოდ დელუვიური ნალექები წარმოდგენილია ღორღის და სხვადასხვა სიდიდის ღორღის დაუმუშავებელი და დაუხარისხებელი უმთავრესად დაკუთხული არასწორი ფორმის ნალექებით. ნამსხვრევი მასალა ჩართულია ქვიშიანი თიხებისა და წვრილი ხვინჯის ნარევ მასაში, რომლითაც ისინი სუსტად არიან შეცემენტებული.

პროლუვიური ნალექები განსახილველ რაიონში მეოთხეული ასაკის წარმონაქმნებს შორის ყველაზე მცირე გავრცელებით სარგებლობს. გენეტიურად ისინი ხევებში გამდინარე წყლის დროებითი ნაკადების მიერ გამოტანილი მასალის დანაგროვებს წარმოადგენენ და ლოკალური გავრცელება აქვთ.

პროლუვიური ნალექები განვითარებულია მდ. რიონის ხეობის გვერდითი პატარა დროებითი წყლიანი ხევების შესართავებში გამოტანის კონუსების სახით, რომლებიც ძირითადად ფერდობების ძირში არიან განლაგებული.

აღსანიშნავია, რომ პროლუვიური გამოტანის კონუსები არ არის გავრცელებული ყველა ნაკადულიან ხევში, რომლებითაც იკვეთება მდ. რიონის ხეობის ფერდობები. გარდა ამისა, აქ ვხვდებით ხევებს, რომლებიც შესართავამდე ჩაჭრილია კლდოვან ქანებში და არ გააჩნიათ გამოტანის კონუსი.

პროლუვიური ნალექებით წარმოდგენილი კონუსები სხვადასხვა სიდიდითა და სიმძლავრით ხასიათდებიან. მდ. რიონის ხეობაში უმეტესად გავრცელებულია მცირე და საშუალო ზომის პროლუვიური კონუსები, რომელთა სიმძლავრე 1-5 მ-ს შეადგენს, სიგრძე კი 10 მ-დან 50 მ-მდე მერყეობს, მაგრამ ხეობის ზოგიერთ მონაკვეთზე განვითარებულია გაცილებით მეტი სიდიდის გამოტანის კონუსები, რომელთა მაქსიმალური სიმძლავრე 5-10 მ-ია, სიგანე ფუძის გასწვრივ 150-200 მ, ხოლო სიგრძეც თითქმის იგივე ზომისა აქვთ (მაგ. მდ. აკინკილას შესართავის უბანი და სხვ.). აღინიშნება შემთხვევები, როდესაც ხდება რამდენიმე მეზობელი, შედარებით პატარა, გამოტანის კონუსების წარმონაქმნების გაერთიანება და დიდი პროლუვიური შლეიფების ფორმირება.

პროლუვიური წარმონაქმნებით აგებული გამოტანის კონუსები და შლეიფები ხშირად ფარავენ ჭაღისა და ჭაღისზედა ტერასების ალუვიურ ნალექებს და ფერდის დელუვიონს. პროლუვიური წარმონაქმნები უმთავრესად შედგებიან იმ დელუვიური, ალუვიური და ძირითადი კლდოვანი ქანების მასალისაგან, რომელიც გავრცელებულია პატარა ხევებში და მდ. რიონის ხეობის ფერდობებზე. გამოტანის კონუსის ნალექების განსხვავება ალუვიური და დელუვიური წარმონაქმნებისაგან მდგომარეობს იმაში, რომ მათში ნატეხოვანი მასალა გაცილებ

ბით მეტია, ვიდრე აღნიშნულ მეოთხეულ ნალექებში. საერთოდ პროლუვიური წარმონაქმნები აგებულია ღორღისა და წვრილი და საშუალო ზომის ლოდნარის დაუხარისხებელი და დაუმუშავებელი, ან სუსტად დამუშავებული ძირითადად დაკუთხული ნატეხებით. ნამსხვრევი მასალა სუსტად არის შეცემენტებული ქვიშიანი თიხების და წვრილი ხვინჭის ნარევი მასით.

კოლუვიური ნალექები განსახილველი ტერიტორიის ფარგლებში ძირითადად ლოკალურად არიან გავრცელებული. ისინი გამოფიტული კლდოვანი ქანების ქვემოთ მთის ფერდობებზე სიმძიმის ძალის გავლენით ჩამოზვავების შედეგად არიან წარმოშობილი. უმთავრესად განვითარებულია ფერდობების ქვედა ნაწილში და მათ ძირში ჩამონაშალის შლეიფების სახით. კოლუვიური წარმონაქმნების ნატეხი მასალის ლითოლოგიური შემადგენლობა შეესაბამება იმ ძირითად კლდოვან ქანებს, რომელთა დაშლის შედეგად ისინი არიან ფორმირებული.

განსაკუთრებით დიდ მასშტაბს ეს წარმონაქმნები აღწევენ განსახილველი რაიონის ჩრდილო პერიფერიაზე, ქვედაცარცული ასაკის ნალექების კარნიზების ძირებში და მაღალ ციცაბო ფერდობებზე, რომლებიც გავრცელებული არიან სოფლების ტვიშის, ორხევის, დერჩის და დღნარისას მიდამოებში კირქვების ფლატეების გასწვრივ. აქ კოლუვიური ნალექები წარმოდგენილია ძირითადად ქვედაცარცული ასაკის კირქვების და ნაწილობრივ ზედაიურული ასაკის ქვიშაქვების დიდი ბლოკებისგან, განსხვავებული ზომების ლოდნარისაგან და სხვადასხვა სიდიდის ნატეხებისაგან. სოფ. ორხევის ჩრდილოეთით კირქვების ბლოკების დიამეტრი ხანდახან 8-10 მ-ს აღწევს. ნატეხებს შორის არე შევსებულია ღორღით, ხვინჭით, თიხნარით და თიხებით. კოლუვიური წარმონაქმნების სიმძლავრე აღნიშნულ ზოლში არ აღემატება 5-10 მ-ს, ზოგჯერ კი აღწევს 15-20 მ-ს. კარნიზებისგან მოშორებით მათი სიმძლავრე თანდათან კლებულობს და შემდეგ სრულებით არ აღინიშნება, მაგრამ სოფ. ტვიშის სამხრეთ-დასავლეთით ხვამლის მთის მიდამოებში ისინი კვლავ ჩნდებიან, სადაც მათი სიმძლავრე 35-40 მ-ს შეადგენს.

კოლუვიური ნაზვავი-ნაშალი ნალექები ფართოდაა გავრცელებული მდ. რიონის ხეობის ცარცული ასაკის კირქვებშიც, თუმცა ამ უბანზე ისინი ქმნიან ძირითადად ნატეხოვანი მასალის მცირე დანაგროვებს 1-10 მ-მდე. ხეობის შუა მონაკვეთში დაფიქსირებულია კოლუვიური ნალექების რამდენიმე დიდი შლეიფი, მათ შორის ყველაზე დიდის სიგანე 100 მ-ია.

კოლუვიური ნალექები განვითარებულია აგრეთვე განსახილველი ტერიტორიის სამხრეთ პერიფერიაზე მდ. რიონის ხეობის ფარგლებში, სადაც ისინი ბაიოსური ასაკის ვულკანოგენური ქანების ნატეხოვანი მასალით არიან წარმოდგენილი. მდ. აკინკილას სამხრეთით, ჟონეთის კაშხალის გასწორამდე, გავრცელებულია ჩამონახვავე-ჩამონაშალი წარმონაქმნების სქელი საფარი, რომლის სიმძლავრე 40 მ-მდე აღწევს. ჟონეთის ჰესის უბანზე, მდ. რიონის ხეობის მარჯვენა ფერდობის ქვედა ნაწილში განვითარებულია ნახვავე-ნაშალი კოლუვიური წარმონაქმნების დიდი შლეიფი, რომლის სიმძლავრე 40-50 მ-ია. ნალექები წარმოდგენილია ტუფო-ქვიშაქვების და ტუფო-ბრექჩიების სხვადასხვა სიდიდის ბლოკებით, ლოდებით და ღორღით. ნამსხვრევი მასალა ჩართულია ხვინჭოვანთიხნარიან მასაში, რომელიც მას სუსტად აცემენტებს.

მაგმატიზმი და ვულკანიზმი

გეოლოგიური აგებულების სრული სურათი წარმოუდგენელია თუ არ იქნა ასახული შესასწავლი რაიონის ტერიტორიაზე განვითარებული ვულკანიზმისა და მაგმატიზმის მოვლენები. ჩვენს მიერ განხილულ რეგიონში ფართო გავრცელებით სარგებლობს როგორც ვულკანური, ისე მაგმური მოვლენები. თავის მხრივ ვულკანური ფაზების აქტივობას უკავშირდება სხვადასხვა ასაკის შუაიურული, ზედაიურული და ზედაცარცული ასაკის ქანების წარმოშობა, რომლებიც განსხვავდებიან როგორც შედგენილობით, ისე წოლის ელემენტებით. მდ. რიონის ხეობაში პორფირიტული სერიის განლაგება შეიძლება პირობითად 3 ნაწილად დაიყოს: I. ზონა ქ. ონის ჩრდილოეთით, II. საშუალო ზონა ქ. ონსა და ქ. ამბროლაურს შორის და III. ზონა სამხრეთი - სოფ. ტვიშსა და სოფ. რიონს შორის. ეს უკანასკნელი ჩვენთვის მეტად საყურადღებოა და ქვემოთ მისი აღწერაა მოცემული.

შუაიურული ვულკანიზმი – როგორც ზემოთ აღვნიშნეთ შუაიურული ასაკის ნალექები, რომელიც მდ. რიონის ხეობის ამგები ქანების უდიდეს უმრავლესობას წარმოადგენს, ძირითადად აგებულია შუა იურის ბაიოსური ასაკის შიდაფორმაციული პორფირული განფენებით. დადგენილი, რომ პორფირიტული წყების ძირითადი ნაწილი (70-75%) აგებული ნორმულ-დანალექი წარმონაქმნებით, ლავები და მისი კლასტოლითები შეადგენს წყების მხოლოდ 25%. ამასთან ერთად მიღებულია, რომ აქ გაირჩევა: 1. სპილიტური; 2. რქატყუარა-პლაგიოკლაზიანი (შეზღუდული გავრცელებით); 3. ავგიტური (ფუძე პლაგიოკ-

ლაზებით). ამასთან ერთად ხშირად გაირჩევა დიაბაზები და დიაბაზ-პორფირიტები, ნორმული ავგიტ-ლაბრადორიანი ტიპიც. შემდგომი კვლევებით აღნიშნულ რიგს დაემატა ჰიპერსტენიანი ბაზალტების და ბიოტიტიანი პორფირიტების ტიპები. ეს უკანასკნელი თავის მხრივ იკავებს ბაიოსური წარმონაქმნების ზედა საფეხურს.

საკვლევ რაიონს ზემოთ ჩამოთვლილიდან მხოლოდ სპილიტური არაა წარმოდგენილი, თუმცა რქატყუარა-პლაგიოკლაზიანი პორფირიტებიც არ სარგებლობენ დიდი გავრცელებით. რაც შეეხება ავგიტ-ლაბრადორიან პორფირიტებს და მათ ლავა-ბრეჩიებს მათი გავრცელების არეალი საკვლევ რაიონში დომინირებს სოფ. უონეთიდან – სოფ. ტვიშის ჩათვლით. პორფირიტული განფენების დიდი ნაწილი წარმოდგენილია ნაცრისფერი მასიური პორფირიტებით, რომელთაც ახასიათებთ წვრილკრისტალური აგებულება, მინისებრი ანდა, ზოგჯერ ძირითადი მასის ტრაქიტული აგებულება. ჩანართები ძირითადად წარმოდგენილია მკვეთრად გამოხატული პლაგიოკლაზის ზონალური (ანდეზინ-ლაბრადორი) კრისტალებით, რომლებიც თავის მხრივ განიცდიან ალბიტოზაციას, პელიტიზაციას, კალციტიზაციას და სერიციტიზაციას. ამასთან ერთად აღინიშნება მონოკლინური პიროქსენების (ავგიტი, ზოგჯერ დიოფსიდი) იდიომორფული, კალციტიზირებული კრისტალების არსებობაც.

აღინიშნება, რომ მდ. რიონის ხეობაში სოფ. ტვიშსა და სოფ. უონეთს შორის, პორფირული წყება ძირითადად აგებულია მხოლოდ კლასტური ქანებით, სადაც ლავები და მათი განფენები საერთოდ არ გვხვდება. თავის მხრივ კლასტური ქანები იყოფა სამ ჯგუფად:

1. პიროკლასტოლითები – ტუფები და ტუფო-ბრეჩიები.
2. ტერიგენული კლასტოლითები – სხვადასხვა შედგენილობის ქვიშაქვები.
3. ტუფოგენური კლასტოლითები – შედგება პირველი და მეორე ჯგუფის ქანებისგან – ტუფო-ქვიშაქვები.

I. პიროკლასტოლითები – გაირჩევა მხოლოდ თავისი სტრუქტურით, შედგენილობით კი შეეთანადება იმ პორფირიტებს, რომლებიც თან ახლავს ამოფრქვევის პროცესს. ტუფები და ლავა-ბრეჩიები ავგიტ-ლაბრადორული შედგენილობისაა, შედარებით იშვიათია რქატყუარა-ლაბრადორიანი და პლაგიოკლაზიანი სახესხვაობები. კრისტალური ტუფები – მიკროსკოპულად ესაა თხელ-ან საშუალოშრეებრივი ქანები, აგებული უხეშნატეხოვანი (0,1-1 მმ) ავგიტისა და პლაგიოკლაზის კრისტალებით. ცემენტი წარმოდგენილია პელიტური ტუფის მა-

საღისაგან და შედგება გაკარბონატებული თიხის, ქლორიტის მინერალებისაგან. აგლომერატული ტუფები – ესაა მიკროსკოპულად მტკიცე ქანი, თუმცა ძლიერი გამოფიტვის შედეგად ხდება ფხვიერი სხვადასხვა პორფირიტული შედგენილობის უხეშმარცვლოვანი ქანისაგან (ნატეხების ზომა 1-3 მმ), ესა არის ტიპური დამახასიათებელი ქანი მთელი პორფირიტული სერიისათვის.

ვიტროკლასტური ტუფები შედგება ვულკანური მინის ფორმებისათვის დამახასიათებელი ნამსხვრევებისაგან, რომლებიც როგორც წესი გაქლორიტებულია. ფსამიტური ტუფები – ესაა ყველაზე წვრილმარცვლოვანი ქანები ამ წყებაში და სარგებლობს მცირე გავრცელებით. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შრეში ამ სახის ტუფებში ვულკანური მინა ჩანაცვლებულია ცეოლითშემცველი წარმონაქმნებით, თუმცა არც ისე იშვიათია თიხური მინერალის – ბეიდელიტის არსებობაც (სოფ. უონეთი).

II – ტერიგენული კლასტოლითები – ამ სახის ქანები რაიონში სარგებლობს მცირე გავრცელებით (სოფ. უონეთი) და ძირითადად გაირჩევა:

ა) არკოზული ქვიშაქვები – მაკროსკოპულად ნაცრისფერი მტკიცე მარცვლოვანი ქანი, ზოგჯერ მოვარდისფრო შეფერილობით. მიკროსკოპულად ის შედგება კუთხოვანი ან და ნაგორები კვარცის, პერტიტული მიკროკლინის, ორთოკლაზის, ალბიტის, ოლიგოკლაზის მინერალებისაგან, იშვიათად მასში გვხვდება – ფუძე პლაგიოკლაზის და ბიოტიტის ფირფიტები.

ბ) გრაუვაკული ქვიშაქვები – მაკროსკოპულად ესაა მარცვლოვანი, მომწვანო მუქი ნაცრისფერი ან შავი ფერის ქანები. შედგება პორფირიტების მეტნაკლებად ნაგორები მასაღისგან, ზოგჯერ პლაგიოკლაზის და ავგიტის ნატეხებისგან. როგორც წესი გრაუვაკული ქვიშაქვები შედგება მხოლოდ პორფირიტული წყების გადანალექი მასაღისაგან და სარგებლობენ პორფირიტულ სერიაში ფართო გავრცელებით.

მკვლევართა ერთი ნაწილი გრაუვაკული ქვიშაქვების შემადგენლობაში გამოყოფს ტუფებს, ტუფო-ქვიშაქვებს, მიკრო-ბრექჩიებს ანდა გადანალექ ტუფებს. ზოგიერთი კი, და ჩვენი აზრით სამართლიანადაც, გრაუვაკულ ქვიშაქვებში მოიაზრებს ნორმულ დანალექ ქანებს, რომელთა მთავარი თავისებურება განისაზღვრება აუზის კვების ხასიათით, ე.ი. აუზის კიდურა ნაწილებით და ვულკანური კუნძულების პორფირიტული აგებულებით.

III ტუფოგენური კლასტოლითები – ესაა პირველადი ტუფოგენური მასაღის და ტერიგენული ნალექების ერთობლიობა. პირველადი ტუფოგენური პიროკ-

